საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/167 "20" სექტემბერი 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

ს. მეთოფიშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

2021 წლის 14 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლოს სხდომის კოლეგიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი და აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეებს მიეცათ ვადა შესაბამისი განცხადებების წარმოდგენისათვის. ინიცირების ფარგლებში 2021 წლის 15 სექტემბერს მიღებულ იქნა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე სერგო მეთოფიშვილის განცხადება.

სერგო მეთოფიშვილს აქვს მოსამართლედ მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება. მათ შორის მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილებაც კერძოდ, იგი სხვადასხვა დროს იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის, ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სერგო მეთოფიშვილი დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარედ 2021 წლის 21 სექტემბრიდან, 5 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე